

მშობლიური ეფემერა

ველარ ვცნობილობ მშობლიურ ხეებს.

ზამთარს ბილიკი დაუტანია...

"დიდი ხანიაჲ" - მივმართავ ტყეებს

და ტყე გუგუნებს: "დიდი ხანია!"

შეხავსებია კლდეები კლდეებს,

იქ ვიღაც კვნესის დიდი ხანია.

"ამირანიაჲ" - მივმართავ ტყეებს

და ტყე გუგუნებს: "ამირანია!"

ეს მძაფრი კვნესა მიწამლავს დღეებს,

ის გული ისევ ჩემი გულია...

"დაკარგულიაჲ" - მივმართავ ტყეებს

და ტყე გუგუნებს: „დაკარგულია!"

გუგუნებს თერგი, ხმაურობს თერგი,

მზე ჩავა, ჯერ კი შორსაა ბინდი...

ფერების ჭვერი ირევა ბევრი,

ლალების ტვერი - ლილა და შვინდი.

ყაზბეგის შუბლი შემოსეს ღრუბელით

და ცა ალუბლით სავსეა... კმარა,

ყვავილთა ციდან კალათებს ცლიდნენ,

დარიალიდან ზარავდა ზარა.

სულ ერთი წამით განსაცდელ ჟამად,

შეხვედრა ჩუმი მე შენად მერგო,

მოგონებებით, რაც ჩემს გულს ანთებს,

იმ ძვირფას ლანდებს გადავც, თერგო!

შეხავსებია კლდეები კლდეებს,

იქ ვიღაც კვნესის დიდი ხანია.

"ამირანიაჲ" - კვლავ გკითხავ ტყეებს

და ტყე გუგუნებს: "ამირანია!"

1915